

# შინაური საქმეები.

№ 25.

შასი ერთი შაური

წლიური შასი 4 მან.

წელიწადი მესხეთე.

ქოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 1 ივლისი 1912 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

## „შინური საქმეებზე“

სახეზე № 17). და აბილასში გამოცემულთან სომხის ბაზარში, სიმონისა და სუხის მალაზაში. გამოცემა უფრო თბილისში გამოცემისაა.

### გაზეთის შასი:

წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 აბაზი.
წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 აბაზი.
წლიური ფასი:	4 მანეთი.	წლიური ფასი:	2 აბაზი.

### ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიური ფასის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თვედგან 2 მ. და 1 იუნის 2 მ. განცხადების თარიღი წინა გვერდზე პეტრით სტრიქონი ირი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინური საქმეების“ რედაქცია.

**შინაურისი:** 1. საკითხი სულის უკვდავებაზე გაგრძელება—ს—ძე—სი; 2. სიტყვა ი. ს. გოგებაშვილის ანდერძის აგებაზე დეკ. კ. ცინცაძის; 3. რა ხდება ჯვარმტირთველ საქართველოში—ნ. დურნოვოსი 4. სტალინიზის აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე; 5. იძულებითი პასუხი გაზ. „კავკასი“—ეპ. დავითისა; 6. ბედია და მისი სიძველენი—ხელისა; 7. კვირიდამ კვირამდე; 8. ეპისკოპოს კირიონთან; 9. უცხოეთის მიმოხილვა—გულკეთილისა; 10. მადლობის გამოცხადება: ა) მასწ. ა. ყურაშვილისა, ბ) მღ. ბ. ტყემალაძისა.

## საკითხი სულის უკვდავებაზე<sup>1)</sup>.

თარგმანი.  
გაგრძელება

ჩვენ ვეცდებით გამოვავაშკარაოთ თითონ პანთეიზმის პრინციპების სიყალბე, სიკრუე მის მოძღვრებისა აბსოლუტურ სულის შესახებ და აქედან მისი კრუ შეხედულება დასასრულის მექონ სულზე. უწინარეს ყოვლისა პანთეიზმი არ აკმაყოფილებს ადამიანის არც ლოღიკურ და არც ესტეტიკურ მოთხოვნებს. მსოფლიო პროცესის წარმოდგენაში პანთეიზმს შემოაქვს გამოურკვევლობა და უაზრობა. უყურებს რა მსოფლიოს, როგორც დაუსრულებელ გამოხატულებას აბსოლუტის დაუსრულებელი თვისებებისა, პანთეიზმი ხელს გვიშლის ავსხნათ მნიშვნელობა ქვეყნის ნაწილებისა მსოფლიო-

<sup>1)</sup> იხ. „შინური საქმეები“ № 23.



ში და გამოვარკვიოთ ამ ქვეყნის დამოკიდებულება მთელ ერთეულთან. პანთეიზმის თვალსაზრისით აბსოლუტის იმ გამოჩინებას, რომელსაც წარმოადგენს ცნობილი ვარსკვლავთა ქვეყანა, რომელშიაც შედის მზის სისტემაც, როგორც ძლიერ პატარა მისი ნაწილი, — არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, რადგანაც ეს ქვეყანა, უეჭველია, წარმოადგენს პაწია რამეს მსოფლიოს მრავალ დასასრულიან ნაწილებთან შედარებით. უსაზღვროსთან შედარებით კი იგი არაფერს არ წარმოადგენს. აქედან ის გამოდის, რომ მას არ შეუძლია გამოხატოს და გამოაჩინოს არც ერთი თვისება უსაზღვროსი. დამოკიდებულება ღთაებრივ არსებისა მით უფრო გამოკანად ჰხდება ჩვენთვის, რომ ქვეყანაში ჩვენ ვხედავთ მრავალ ინდივიდუალობას, პანთეიზმი კი უარს ჰყოფს ამ სიმრავლეს. მიაჩნია რა მსოფლიო ცხოვრების პროცესი დაუსაბამოდ და საუკუნოდ, პანთეიზმი ამით უარს ჰყოფს ყოველივე აზრს მსოფლიოში მომხდარ მოვლენათა. მსოფლიო რომ არ უკეთესდება და არ მიიღტვის არა ვითარ მიზნისადმი, — გუშინ ის ისეთი იყო, როგორც ხვალ იქნება და მასში წარმომდგარს და წარმავალს აბსოლუტი ჰქმნის თვისაგან ისე უმიზნოდ და უაზროდ, როგორც პატარა ბავშვები აუშვებენ ხოლმე საპნის ბუშტსა. პანთეიზმი არ აკმაყოფილებს აგრეთვე ადამიანის ესტეტიკურ მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებას საფუძრვლად უდევს მოვლენათა და ქმნილებათა სიკეთედ და სიბოროტედ გაყოფა, მაგრამ პანთეიზმი უარს ჰყოფს ამ გაყოფას: პანთეისტური აბსოლუტი ერთნაირად თვისაგან წარმოშობს როგორც სიყვარულს, რომელიც მზადაა შესწიროს თავისი თავი თვის მახლობელთათვის, ისე ბოროტებასაც, რომელიც თვისი შხამიანი სუნთქვით ჰკლავს ყოველივე კეთილსა და შვენიერსა. ნერონის ავაზაკურ და წმ. პავლეს დიდებულ თავგანწირულ მოქმედებათა მიზეზი პანთეისტურ სწავლით ერთნაირად სძევს აბსოლუტის არსებობაში. პანთეიზმი არ აძლევს არავითარ ნუფემს მომავალში ადამიანის ზნობრივ მისწრაფებებს: დამოკიდებულება სიკე-

თეს და სიბოროტეს შუა ყოველთვის უცვლელად დარჩება, ამა თუ იმ საგნის რაოდენობა მსოფლიოში არც მოიკლებს და არც მოიმატებს. აწმყოში მგლები ჰხოცავენ ცხვრებსა, მომავალში, შეიძლება, გაჰქრეს როგორც ერთი, ისე მეორე და გამოსჩნდებიან ახალნი ქმნილებანი, რომელთაგანაც ერთნი ჰსჩანთქავენ მეორეთა.

ამ ნაირად, პანთეიზმს არ შეაქვს არავითარი სამხიარულო და განსაზღვრული ჩვენ მიერ სინამდვილის შემეცნებაში, და ამასთან ჩვენის ფიქრით ის ეყრდნობა ლოღიკურად უძლურ დებულებებზე. აბსოლუტური არსება პანთეისტურ წარმოდგენით არის უბრალო შესაძლებლობა, რომელიც ხილულ ქვეყანაში სინამდვილედ იქცევა ხოლმე. დამოკიდებულება მსოფლიოს ღთაებრივ არსებისა თითონ მსოფლიოსთან — პანთეისტური თვალთაზრისით — შესაძლებელია შევადაროთ პონტეციალურ და კინეტურ ენერჯიათა დამოკიდებულებას, როგორც ეს (დამოკიდებულება) ესმის დადებითი მეცნიერებას. ქვანახშირი, რომელიც მოსკოვ-ტულის ქვანახშირის აუზში არის, წარმოადგენს პოტენციალურ ენერჯიის გროვას. აბსოლუტი — ეს პოტენციალური ენერჯიაა, მსოფლიო — ეს კინეტური ენერჯიაა. მაგრამ აი რაკითხვას ბადებს ასეთი შედარება: სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ პოტენციალურ ენერჯიას შეუძლია გადაიქცეს კინეტურად მხოლოდ გარეშე მომქმედის საშუალებით: რომ გამოვაჩინოთ ქვანახშირში მყოფი ენერჯია, ის უნდა დაესწვათ, — იბადება კითხვა: რომელი შუამავალი მომქმედი გარდააქცევს ხოლმე მსოფლიოში აბსოლუტურ შესაძლებლობას შედარებით სინამდვილედ? როცა პანთეისტები აძლევენ თავის თავს ასეთს კითხვას, ისინი ჩვეულებრივად უარჰყოფენ ხოლმე განმარტებას აბსოლუტისა, როგორც უბრალო შესაძლებლობისა და ამბობენ რომ იგი არის უმაღლესი რეალობა, რომელიც უსაზღვროდ, აღმატებულად შეიცავს იმ დადებითი თვისებებს, რომელიც მსოფლიოში ჩნდებიან. აბსოლუტი არის ზეცნობიერი ჰაზრის და გონების უმაღლესი რამე. ასე-



თი განმარტება ხელ-ახლა იწვევს ლოლიკურ და პსიხოლოგიურ სიძნელეს, რომელიც გვაიძულებს ჩვენ პანთეიზმის დოქტრინა სრულებით ყალბად აღვიაროთ. პირველად, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვიაროთ, რომ უმაღლესი არსების უდაბლეს არსებად გარდაქცევა, მისი უმაღლესი გონიერების უდაბლეს გონიერებად გაცვლა, ძლიერ უკუყო მოვლენაა. მეორედ, პსიხოლოგია გვასწავლის ჩვენ, რომ ერთი შემეცნების რამოდენიმე ნაწილ შემეცნებად დაყოფა ისეთი შეუძლებელი რამეა, როგორც ერთი შემეცნების მრავალ შემეცნებათაგან შექმნა. ყოველივე შედრება პანთეიზმისა, მაგალ., „მე“ იხატება დასასრულის მექონ „მე“-ში, როგორც მზე წყლის უსაზღვრო წვეთებში—ყველა ასეთი შედარება, თუ დავაკვირდებით მათ, პანთეიზმისათვის მომაკვდინებელია. მზის წყალში გამოხატვა ნამდვილად მოტყუებაა, მაგრამ კაცთა „მე“-ები სინამდვილეს წარმოადგენენ. როგორც სხვა და სხვა მთელი შემეცნებათა შეერთებით არ შეიძლება წარმოდგეს ერთი პიროვნება, ისე შემეცნების ნაწილს არასოდეს არ შეუძლია გაჰხდეს თვით გამომრკვეველ პიროვნებად. მოვლენათა საზოგადო მსვლელობაში ჩვენ ვხედავთ კანონს, რომ რავდენადაც უფრო დამოკიდებულია ნაწილი ერთეულთან, მით უფრო არ შეუძლია მას თავის თავად არსებობა. ეს კანონი არსებობს ბიოლოგიაში, სადაც ჩვენ ორგანიზმებში ვხედავთ, რომ რავდენათ მეტია ნაწილთა ცენტრალიზაცია, იმდენად უფრო ნაკლებია მათი დამოუკიდებლობა, და წინაუკმოც, სადაც სუსტი ცენტრალიზაციაა, იქ ვამჩნევთ ნაწილთა მეტს დამოუკიდებლობას. პანთეიზმის თეორიით ჩვენი „მე“ არის ნაწილი აბსოლუტის „მე“-სი და ამიტომ ის ეწინააღმდეგება ზემო ნათქვამ ბიოლოგიის კანონს. პანთეისტურ თეორიის ძალით ჩვენი „მე“-ს კავშირი აბსოლუტთან არა თუ მკიდროა, არამედ განუყოფელი და უცვლელია, მაგრამ ჩვენი შემეცნება გვაიძულებს წარმოვიდგინოთ ჩვენი „მე“-ს, როგორც რეალური, განკერძოებული ერთეული, რომელიც ჩვენ შეგვიძლია დაუპირდაპირით და კიდევაც ვუპირდაპირებთ მთელ

მსოფლიოს. ჩვენ ვარშემო მომხდარ მოვლენების გასაგებად უნდა აღვიაროთ, რომ ეს მოვლენები—განურჩევლად იმისა, ჰხდება ფიზიკურ თუ პსიხიკურ მხარეში -- სინამდვილის სიმბოლო არიან. ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ ამ მოვლენათა შორის დამოკიდებულება ემზავსება სინამდვილის ფაქტთა შორის დამოკიდებულებას და რამოდენიმედ კიდევაც შეგვიძლია გავიგოთ ამ მზავსების კანონი, ამასთან, რასაკვირველია, აუცილებელია, რომ სიმბოლოები ცოტად თუ ბევრად უახლოვდებიან სინამდვილეს. მაგრამ ეს თუ ასეა, აბადება საკითხი: ნუ თუ ჩვენი შემეცნების აბსოლუტური მოწმობა ჩვენი „მე“-ს ინდივიდუალობისა და განკერძოების შესახებ შეიძლება იყოს სიმბოლოდ იმისა, რომ ჩვენი „მე“—არის გამოყოფილი უსაზღვრო პატარა ნაწილი რალაც პრობლემატიურ ერთეულისა? ეს შეუძლებელია. მაშასადამე, შეუძლებელია მივიღოთ ის თეორია, რომელიც ასწავლის, რომ ჩვენი „მე“ არის ერთეულის ნაწილი და ამასთან ის თეორია, რომ ჩვენი „მე“ არის ერთეულების ჯამი. ჩვეულებრივი ადამიანის აზრს არასოდეს არ მიუღია არც პირველი და არც მეორე თეორია. ჩვეულებრივი შემეცნება ადამიანის სულს ყოველთვის წარმოიდგენდა რეალურ ერთეულად, რომლის არც გამრავლება და არც გაყოფა შეიძლება. ამნაირ შეხედულებას მე ვუწოდებ პსიხიკურ ინდივიდუალობის თეორიად. ამ შეხედულებას ვლბებულობთ ჩვენ. ვცდებით ამ შეხედულების ახსნას.

ჩვენი აზრით საგანი ბეიძლება წარმოსდგეს ორ ნაირად: ანუ შეერთებით, ანუ რისაშე დაყოფით. ჩვენისაზრით არც პირველ და არც მეორე გზითა არ შეიძლება სული წარმოიშვას. ამიტომ მისი წარმოშობის შესახებ შესაძლებელია მხოლოდ ორი თეორია: ანუ სული თვით-ყოფილია, ანუ ის ღვთისაგან შექმნილია.

პირველი მოსაზრება სულის შესახებ არას გზით არ შეიძლება მივიღოთ. განსაზღვრული არ შეიძლება იყოს თვით-ყოფილად. ლოლიკა და ღნოსეოლოგია გვაიძულებს ჩვენ განსაზღვ-



რული წარმოვიდგინოთ ანუ როგორც დაუსაბამოს გამოხატულება ანუ როგორც ქმნილება. ვინაიდან სული არ არის დაუსაბამოს გამოჩინება, მაშასადამე, ის მისი ქმნილებაა. არ ვიკმათებთ ეხლა იმის შესახებ, თუ როდის იქმნებიან სულნი, მაგრამ დავადგინოთ როგორც ფაქტი, რომ სულნი ღვთისაგან იქმნებიან, რომ მათი წარმოშობის მიზეზი სხევეს არა ამ გრძობად ქვეყანაში, არამედ აბსოლიუტის სულში. ავხსნი რა პსიხიკურ ინდივიდუალიზმის თეორიის საშუალებით სულის წარმოშობის საკითხს, ჩვენ ადვილად შეგვიძლია ამ თეორიის საშუალებით ავხსნათ საკითხი სულის არსებობაზე სიკვდილის შემდეგ.

სულნი აბსოლიუტის მიერ იქმნება.

### სიტყვა,

თქმული 1912 წ. ივნისის 10 ქვაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ი. ს. გოკებმა შვილის ანდერძის აკების წინ.

იქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენა და მთავრობდეს იგი ქვეყანასა ზედა (შექმ. 1, 26).

ბრძანა უფალმა, და მითვე მიანიჭა ადამიანს ბატონობა ყოველსავე ქვეყნიერ ქმნილებაზე. ამ დიდებულის მოწოდებისათვის აღჭურვა იგი საჭირო საშუალებითა, შთაჰბერა რა მტვერისა ქვეყანისაგან შექმნილს სხეულს სული სიკაცხლისა (შექმ. 2, 7). სულის ნიჭთა შინა დასლა საფუძველი ადამიანის ქვეყნად ბატონობისათვის, დაავალა რა ამ ნიჭთა განვითარება და განათლება ღვთის ცნობით, ვარშემო ბუნების და მის მოვლენათა კანონების შესწავლით, — ცხოვრებისათვის გამოსაყენებლად. პირველ ქმნილი ადამიანი, იცნობდა რა ქეშპირიტს ღმერთსა და აღსრულებდა რა მის სწავლა-ბრძანებას, იყო ბატონი და უფალი ყოველისავე ქვეყნიერის ქმნილებისა. მხოლოდ ღვთის

მცნების გარდასლვამ გამოიწვია შედეგად ადამიანის სულიერ ძალთა დაჩლუნგება და ქვეყნის ბატონის ბუნების მოვლენათა და მხეცთა მიერ შეშინება და დამორჩილება. მაგრამ ყოველად მოწყალე უფალმა არა უგულვებელ-ჰყო ცოდვილი ადამიანი, მოუვლინა მაცხოვრად საყვარელი ძე თვისი; უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც დაუძღურებული ადამიანი გამოიხსნა ცოდვისა და მისის შედგენისაგან, დაუბრუნა მას ძალი და ხელმწიფება ქვეყანასა ზედა და წარავლინა მოწაფენი თვისნი ქადაგებად სასუფეველისა ღვთისსა (მატ. 10, 1; მარკ. 16, 17—18; ლუკ. 9, 1—2).

უცნაურებისათვის ანგოფენი ვიწვევს განსვენებული იაკობ გოგებაშვილიც, ვითარცა ერთი მიწაფეთაგანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გულდასმით შეუდგა ამა სასუფეველის ქადაგებას თანამომხმეთა თვისთა შორის პირველისავე დღითგან შკოლითგან გამოსლისა. თავდაპირველად მოღვაწე მცირე ფარგლით შემოხაზულ ასპარეზზედ, — სასულიერო სასწავლებელში, — შემდეგ იგი შეიქმნა მთელის ჩვენის ერის მასწავლებლად. თანახმად იესო ქრისტეს მცნებისა, მან უარ-ჰყო თავი თვისი (მარკ. 8, 34); აღიღო ჯვარი მასწავლებლობისა და შეუდგა მშობლის ერის ღვთის მსგავსებისა და ქვეყანაზედ გაბატონების გზაზედ დაყენებას. ბევრი-შრომა, ბევრი საყვედური, ბევრი შეურაცხება და ბევრი დაბრკოლება განიცადა განსვენებულმა, მაგრამ შეუდრეკელად განაგრძობდა მუშაობას მშობელის ერის საკეთილდღეოდ. ამ განუწყვეტელმა შრომამ და თავდადებულმა მოღვაწეობამ იაკობის სიკაცხლეშივე გამოიღო ჯეროვანი ნაყოფი: ათი-ათასობით და ასრითასობით ვრცელდებოდა ხალხში მის მიერ შედგენილი წიგნები და ხალხმაც შეიგნო ამ წიგნების მნიშვნელობა.

ამ წიგნთა შორის განსაკუთრებულს ყურადღებას მიიქცევს „ბუნების კარი“. აცნობს რა ამ წიგნით მოსწავლე ახალგაზღვრებას კერძოდ და ჩვენს ერს საზოგადოდ ბუნების მოვლენათა და მათ კანონებსა და მიზეზებს, განსვენებული იაკობი მკითხველთა ყურადღებას აღამაღლებს მიზეზთა-მიზეზისადმი, ხოლო



ჩვენის ერის ძველი ცხოვრების მოთხოვნით ამტკიცებს იმ უტყუარს აზრსა, რომ სანამ ჩვენი ერი ღვთის მოშიში და მოსაჯი იყო, მანამ არ გამოძლევიდა ბაგრატ-დავით-თამარები...

ასე ესმოდა განსვენებულს იაკობს თავისი მოვალეობა მასწავლებლისა და ამ სახედ ასრულებდა მაცხოვრის ბრძანებას ღვთის სასუფეველის ქადაგებისათვის, და ფრიად სწუხდა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში შესამჩნევად იქლო ღვთის სასუფეველის ქადაგებისათვის ზრუნვა. ამ მოვლენას იგი სთვლიდა ფრიად სამწუხაროდ და შიშობდა, ვაი თუ სარწმუნოებრივ გულგრილობას ზედ მოაქვეს ზნეობის და ქრისტიანული გადარების გზაზე დადგომაო. სამაგიეროდ, სინარულით აღფრთოვანდებოდა ხოლმე, თუ სადმე შეამჩნევდა სარწმუნოების დაცვისა და ზნეობის განუაქიზებისათვის ზრუნვის ნიშნებსა: ამ ორიოდ წლის წინად ხშირად ნახავდით განსვენებულს იაკობს ამ ტაძრის გალავანში, ან კიდევ გვერდით ბაღში, სიამოვნებით თვალყურის მგდებელს ტაძრის კედლების ზრდისა და ჩუქურთმებით შემკობისათვის. მიხარის, როცა ვხედავ ამ ტაძრის მამა-პაპათ მიერ შემუშავებული გეგმით შენებას, იქნება, ღვთის შეწევნით, მათი სარწმუნოებრივი გრძნობაც განცხოველდეს ჩვენშიო, იტყოდა ხოლმე მოხუცი. უკანასკნელ დღეებში კი, როცა მახლობლებმა უამბეს, შენს სადღეგრძელოდ და სენისაგან განსაკურნებლად საქართველომ კუთხეებში პარაკლისები გადაუხდიათო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერის ტკივილებისა, დამშვიდდა გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთქვა: მაღლობა ღმერთს, ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანიაო, ვინათგან სხვისთვის ლოცვა მარტო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებააო.

საყვარელო! შეკრებილება თქვენი საქართველოს ყოველი კუთხითგან მოწამეა თქვენი განსვენებულის იაკობისადმი პატივისცემისა და სიყვარულისა... ნუ მოაკლებთ ამ სიყვარულს ნურც იაკობს და ნურც იმ საქმეს, რომელსაც თვისი ძალიონე შესწირა იაკობმა. შეუწყეთ ხელი მშობელს ერში ქრისტიანების ცოდნის

გავრცელებას, განამტკიცეთ ჯვარის-მტკირთველ ერში ღვთის ცნობა, ჰქადაგეთ საკუთარის ცხოვრებით ქრისტეს სარწმუნოება, განაცხოველეთ უფლისადმი სასოება, შეიმოსეთ ურთიერთის სიყვარული, რომელი არს სიმტკიცე სრულებისა (კოლ. 3: 14); რათა ყოველი ჩვენგანი იქნას მსგავსი ღვთისა, ეუფლოს ქვეყანას და მთავრობდეს თევზთა ზღვისათა, მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყვთა; და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასაზედა (შეკ. 1, 28), და ყოველივე ამით განამხიარულეთ ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობისათვის მრავალჯერ მწუხარების განმცდელი სული იაკობ გოგებაშვილისა. ამინ.

დავ. კ. ცინცაძე.

### რა ხდება ჯვარმშვიტოვალ საქართველოში.

„С. II. В.“ № 133 ამ სათაურით მოთავსებულია შემდეგი ნ. დურნოვოს წერილი: „რათ იხეხება თესლი გაბოროტებისა და უსამართლობისა? აი საკითხი, რომელიც ჩვენ გვსურს წინ დაუყენოთ, როგორც უ. ექსარხოსს, ისე თბილისელ პატრიოტ-ნაციონალისტებს, რომლებმაც სახ. სათათფიროში წამოაყენეს ასეთი პატრიოტი, როგორიცაა ხელოვანი ტიმოშკინი.“

მ მისს ყოველდღეულ და ვითი გამოთხოვა საკრებულო ტაძარში თავის აღავერდ-კახეთის სამწყსოს. ტაძარი სავსე იყო თავადებით, აზნაურებით, სამღვდელოებით და უბრალო ხალხით, რომლებიც მოსულიყვენ თავის საყვარელ მწყემსმთავრის გამოსათხოვრად. პარაკლისის შემდეგ ერთმა საპატიო და პატივცემულმა ქართველმა მიმართა მის მეუფებას გამოსათხოვარი სიტყვით, რომელშიდაც აღნიშნა, რომ მის მეუფებას სდევნიან საქართველოდან, მიტომ რომ ის ქრისტიანი, სულია და ხორცილთა წმიდა ეპისკოპოსია, რომელიც ემსახურებოდეს თავის ხალხსა და სამშობლოს, რო-



მელიც უკანასკნელ კაპიეს აძლევდა ღარიბთა და ლატაკთა, და რომ ქართველმა ხალხმა მთელი თავის გულით კაი ხანია დააფასა იგი... ეხლა, სთქვა ორატორმა, ეძებენ არა გულით და სულით წმიდა პირებს, არამედ კარიერისტებს, რომლებიც მზათ არიან ფულზე გაჰყიდონ ეკლესიაც და ხალხიც: ფარისევლებს, პოლიტიკანებს, რომლებიც საუკეთესო პირების დევნაზე აშენებენ თავის კარიერას... დრო გარეგან ბრწყინვალეების მექონ ადამიანებისა, რომლებიც კეკლუცობენ და თავს ილამაზებენ, რომ თავი მოაწონონ კნენებს, გრაფინებს და სხ. ქართველი ხალხი, რომელიც ყოველთვის დიდი მოთმინების მექონია სარწმუნოებრივ საქმეებში, ბრწყინვალე დღეებსაც მოესწრება; მათი წინასწარმალეული კირიონ ეპისკოპოსის შემდეგ იყო ეპისკოპოსი დავითი, რომელიც თავის გულწრფელობისათვის, სიწმიდისა და თავის ეკლესიის სიყვარულისთვის იღვწებოდა საქართველოდგან.

შემდეგ კიდევ რამოდენიმე სიტყვა წარმოთქვა; ხალხი ტირილით ეთხოვებოდა თავის მწყემსმთავარს. მისი მეუფება თბილისში ჩამოვიდა 7 მაისს. მეორე დღეს მის მეუფებას წარუდგენ წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, სამღვდლოებისა, რედაქციებისა, ვაჭრებისა და ხალხისა, რომლებმაც სთხოვეს მის მეუფებას 14 მაისისათვის სიონში ან ქვაშვეთის ტაძარში ეწირა და შემდეგ პარაკლისისა ეკურთხებოდა ხალხი. ამასთანავე წარმომადგენლებს თავად-აზნაურობისაგან უნდა მიერთმიათ ხატი, სამღვდლოებისაგან სამღვდელმთავრო კვერთხი, ხოლო ვაჭრებისაგან—პანალია. ყოვლადსამღვდლო დავითი დათანხმდა შეესრულებოდა წირვა ზემოაღნიშნულ ეკლესიაში და შეატყობოდა სობორის კანდელაკს ტოტიბაძეს. კანდელაკმა მოახსენა ექსარხოსს, ექსარხოსმა დაიბარა დეკანოზი ქვაშვეთის ტაძრისა ცინცაძე და განუცხადა, რომ ნებას არ მისცემს პიატიგორსკის ეპისკოპოსს მის ეპარქიაში სწიროს. პასუხი სრულიად მოსწრებული არ არის, რადგან თვით ექსარხოსი წინააღმდეგ ყველა საეკლესიო კანონებისა მართავეს ივერიის ეკლესიას.

მთელი ქართველი საზოგადოება აღელვებულა ექსარხოსის მოქმედებით. 13 მაისს ეპ. დავითი „გაემგზავრა პიატიგორსკს.

მისი თბილისში დარჩენა აუტანელი შეიქნა: ექსარხოსისგან დაყენებულ დარაჯებს უნდა ყველა ჩაეწერათ, ვინც მის მეუფებას ინახულებდა.

ეპისკოპოსის წასვლის შემდეგ პიატიგორსკში გაემგზავრა სამი დეპუტაცია ადრესებით თავად-აზნაურთა, სამღვდლოთა და ეპარქიისაგან, ხატიოთ, პანალით და კვერთხით განრისხულ ეპისკოპოსის მისართმევათ.

### პ. ა. სტოლიპინის აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

ახლოხან „სახხლხო გაზეთს“ მოსვლია პრაფ. ა. ცაგარელის ფრიად საყურადღებო წიგნი „წერილები და შენიშვნები საქართველოს ეკლესიის საკითხის შესახებ“, რომელშიდაც მოყვანილია თურმე შემდეგი საინტერესო საუბარი პროფესორისა ყოფილ რუსეთის პრემიერ-მინისტრ სტოლიპინთან. მოგვყავს ეს ადგილი ისე, როგორც გადმოუთარგმნია აღნიშნულ გაზეთს:

„როდესაც ხმა დავარდა (ამბობს პროფესორი) უწმ. სინოდთან არსებული საბჭო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მაგიერად მთლად საეგზარხოსოს მოსპობას აპირობსო და ჰლამობს მის უბრალო საეპისკოპოსოებად დაყოფასო და პირდაპირ უწმ. სინოდისადმი დამორჩილებასო, მე მივმართე სხვათა შორის პ. ა. სტოლიპინს, ვითა სამინისტროს მოთავეს და წარუდგინე დაბეჭდილი ეგზემპლარი მოსახსენებელ ბარათისა, ამ წიგნში რომ არის მოთავსებული.

პირველი ფურცლები რომ წაიკითხა, პ. ა. სტოლიპინი დამეკითხა: რაო არა თანახმდებიან (რუსის სამღვდლოების წარმომადგენელნი) ავტოკეფალიის მოცემასა! საკვირველია, თითონ პატრიარქი მსურთ, სხვებს კი არას აძლევენ. მაინც რაო, რას ამბობენ?“



—ღიას, ზოგიერთსა ჰსურს, ზოგს არა, ვუბასუხე; ავტოკეფალიის მოწინააღმდეგენი ამბობენ, ეგ საპოლიტიკო, ანუ სასახელმწიფო „სეპარატიზმი“.

—რა სისულელეა, წამოიძახა პ. ა. ჯერ ერთი, ეგ რა იმათი საქმეა—იმათ უნდა განსაჯონ საქმე მხოლოდ საეკლესიო თვალსაზრისით. ეგეც არ იყოს, შინაგან საქმეთა სამინისტროში აურაცხელ არა მართლმადიდებელთა და სხვა სარწმუნოებათა ხალხის საქმეა მოგროვილი, მაგრამ ამისა არავის შეჰშინებია არც საპოლიტიკო, არც სახელმწიფოს თვალსაზრისითა, საქართველოს ეკლესიის საკითხს უნდა შევხედოთ, ვითა **საეკლესიო საუწყებო** საკითხს და არა როგორც საპოლიტიკო, ან სასახელმწიფო „სეპარატიზმს“. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ერისკაცებმა, ძალიან ნაკლებ ვიცით ვითარება საქართველოს ეკლესიის საკითხისა და ავტოკეფალიისა.

—მაშინ ნება მიბოძეთ, ყველასთვის გასაგები ფორმით დრო გამოშვებით ვწერო და ვბეჭდო ხოლმე მაგ საკითხის თაობაზე.

—ძალიან კარგი, სწერეთ, მიპასუხა სტოლიპინმა. მას წაკითხული ჰქონდა ამ წიგნში მოთავსებული წერილები არა მარტო დაბეჭდილი, ხელთანაწერებიცა.

როდესაც სამღვდლოების კრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, სტოლიპინმა მკითხა: „რუსეთის სამღვდლოების ადგილობრივ ყრილობას შეუძლიან კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი გადასწყვიტოს?“ მე ვუბასუხე, არ შეუძლიან მეთქი: საეკლესიო კანონთა ძალით ერთს ადგილობრივს ეკლესიას არ შეუძლიან სხვა ადგილობრივისავე ეკლესიის ბედი გადასწყვიტოს. მაგრამ აქ ავტოკეფალიის **მინიკების** შესახებ ხომ არ გახლავთ ლაპარაკი; ლაპარაკია იმის გამო, რომ მიეცეს ნება საქართველოს ეკლესიას ისარგებლოს თავისი საავტოკეფალიო უფლებით, რომლითაც სარგებლობდა ბევრ საუკუნეთა განმავლობაში 1811 წლიამდე და რომელიც წაერთვა არა კანონთა ძალით, არამედ უწმ. სინოდის მოხსენების მეხებითა, იმპერატორის აღექვანდრე პირველი-

სათვის რომ წარუდგენიათ 1811 წელსა, ასე რომ, რუსეთის სამღვდლოების ადგილობრივი კრება საქართველოს ეკლესიის ბედს ვერ გადასწყვეტს; აღემატება მის უფლებებსა; კრება განაჩენს გამოუტანს უწმ. სინოდის 1811 წლის დადგენილებასა. იგი ეკლესიის კანონებს ეწინააღმდეგება და მეფისათვის კი წარუდგენიათ. უნდა აღიაროს ამისათვის მოწვეულმა რუსის სამღვდლოების კრებამ, რომ უარსაყოფია 1811 წლის გადაწყვეტილება, სრულიად არ შეეფერება სულსა და გულს ამიერიდან **კანონთა მიხედვით** მართველობას ქართველთა და რუსთა ეკლესიებისას. მაგრამ იხამს კი ამას კრება და არ მოინდომებს საქართველოს ეკლესიის status quo-ს დარჩენას, როგორც მომხდარა მეორე განყოფილებაში, სადაც მ. ვოსტორგოვის პროექტები დაუსტუთებიათ! მაშინ შეიძლება ორთავე ეკლესიათა შორის **სხიზმა** მოხდეს და ამის თავს ასაცილებლად, უფრო სამჯობინარა უმაღლესის ბრძანებით საქართველოს სამღვდლოებასა და სამწყსოსა ნება მიეცეს კათალიკოსი აირჩიოს საკუთარ ეკლესიისათვის. ამ კათალიკოსს მონარქს წარუდგენენ დასამტკიცებლად, როგორც ქართველების მეზობელი სომხები სჩადიან. ყოველ შემთხვევისათვის, შეიძლება მსოფლიოს პატრიარქსაც დაეკითხონ.

პ. ა. მიპასუხა: „ღიას, ეგ სერიოზული საკითხია, მოფიქრებაა საქირო“. შემდეგ დამეკითხა: „როგორ აირჩევენ ხოლმე საქართველოს ეკლესიის კათალიკოსსა“. ქართველები ამ მხრით იმავე ჩვეულებას მიმსდევდნენ, რაიც საბერძნეთის ეკლესიაში იყო გავრცელებული მეთქი და სხვა.

ამნაირად, განსვენებულ პ. ა. სტოლიპინის „ნაციონალიზმი“ ხელს არ უშლიდა მისსავე **სამართლიანობას**. მართლაც, მისაბაძია ამისთანა მაგალითიო, დასძენს პატივცემული პროფესორი“.





# იპულეზითი პასუხი გაზეთ „კავკაზს“

(დავითი ეპისკოპ. განმარტება).

სატეტო ქალაქის „ს. პეტერბურგსკია ვედომოსტში“ დაბეჭდილია დავით ეპისკოპოსის წერილი იმ განმარტების გამო, რომელიც გაზეთმა „კავკაზმა“ უძღვნა მის აქედამ წასვლას მოგვეყავს იგი სრულიად.

წავიკითხე „კავკაზის“ დარიგებანი, მოვისმინე ჩემი შეურაცხყოფელი სიტყვები (მართალია, არა პირდაპირ ნათქვამი), რომ მე „ჩემი პირდაპირი მოვალეობა არ ამისრულებია, არ მომისურვებია საარქიელო ფიცის ასრულება“, გამომიჩენია „უბატოცემლობა“ იმ ადამიანის უფლებისადმი, ვისაც დავალებული აქვს თვალ-ყური აღვინოს, რომ მოვალეობას ყველა ასრულებდეს. მე ნება არ მქონია მელაპარაკა „ჩემზე დამოუკიდებელ გარემოებათა“ შესახებ. ტყუილად გარჯილა და მეცნიერობს „კავკაზი“ იმის გამო, რომ მე ქართულ გაზეთში გამოვაცხადე: არ შემძლიან ვსწირო ჩემზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო მეთქი (ამავე გაზეთში წინად იყო დაბეჭდილი, არა ჩემ მიერ, ეპ. დავითი სწირავს ტფილ. ქვაშეთის ეკლესიაში, 14 მაისსაო)! სჯობია იმათ დარიგებას შეუდგებოდნენ, ვინც სამშობლოს დათვის სამსახურს უწევენ და თავის მოუფიქრებელი მოქმედებით შულღსა სთესენ ერთმორწმუნე ძმათა შორის, უბრალო რასაზე საქმედ აქცევენ, რაიცა ადგილობრივ მცხოვრებთა ყურადღებას იქცევს და უკმაყოფილებასა ჰბადებს.

მე კიდევ გავიმეორებ: 14 მაისს ქვაშეთის ეკლესიაში ვერა ვწირე ჩემზე დამოუკიდებელ გარემოებათა გამო და დაესძენ, რომ საარქიელო ფიცი და ჩემი მოვალეობა ჩემ დღეში არ დამირღვევია. ის წესი, რომელიც უცხო ეპარქიის ეპისკოპოსს უკრძალავს მღვდელმსახურებას ადგილობრივ ეპისკოპოსის დაუკითხავად, ჩემს საქმეში არ არის შემოსატანი.

მე მსურდა მეწირა ტფილისში იმ

ახლო ხანებშივე, ჩემი გადაყვანა რომ გამომიცხადეს. ვერ არც კი სადმე წავსულიყავი და უცხო ეპისკოპოსად არ უნდა ჩავთვლილიყავი. როდესაც მღვდელმთავრებს გადაიყვანენ და ადგილს შეუცვლიან ხოლმე, ისინი რამდენსამე ხანს რჩებიან ძველ ეპარქიაში ბრძანების გამოცხადების შემდეგაც და სწირავენ კიდევაც — ამას არ სჭირია რაიმე ნებართვა, ამის გამო მათ ვერავენ გაამტყუნებს და ვერც ფიცის გატებას დააბრალებს. მღვდელს არ შეუძლიან სხვის სამრევლოში სწიროს ადგილობრივ მღვდლის დაუკითხავად. ვსთქვათ, რომელიმე მღვდელი გადაუყვანიათ სხვა სამრევლოში და მაგივრად სხვა მღვდელი დაუნთქნათ. პირველნი ბრძანების გამოცხადების შემდეგაც რამდენსამე ხანს რჩებიან და მღვდელმოქმედებენ: და ვერც ვერავენ უსაყვედურებს მათ კანონის დარღვევას. ამიტომ მე ნება მქონდა ტფილისში მღვდელმსახურებისა ბრძანების გამოცხადების ხანებში. ამით არ დაირღვეოდა საეკლესიო წესები.

„კავკაზი“ ამბობს, ქორეპისკოპოსები სწირავენ ხოლმე მმართველ ეპისკოპოსთა ნებით და ლოცვა-კურთხევითაო. ყოველთვის ასე როდი გახლავთ. ქორეპისკოპოსებს ნება არა აქვთ თვითონ პირადად დაათვალიერონ ეპარქია, მოახდინონ განკარგულება, სწირონ იქა, სადაც საწირავად მიწვეულია მმართველი ეპისკოპოსი, მაგალითად — დღეობებზე, ეპარქიაში რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევის დროს, ან როდესაც მართებლობა დაავალებს სადმე წირვას. ისე კი, თავისუფალ დროს, ქორეპისკოპოსებს ყოველთვის შეუძლიათ მღვდელმსახურება შეასრულონ და ამისათვის ნებართვა სრულიად არა სჭირიათ. ქორეპისკოპოსებს რომ ყოველთვის ნებართვა სჭირდებოდეს და მმართველ ეპისკოპოსთა დაუკითხავად ვერ მღვდელმოქმედებდნენ, ეს ეპისკოპოსის ხარისხის დამცირება იქნებოდა და მმართველ მღვდელმთავრების ამპარტავნების და მედიდურების მიჩვენებელი; მაშინ ყოველი მღვდელი ქორეპისკოპოსზე უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნებოდა. საქართველოს ეპარქიაში ოთხ წელი-



წაღზე მეტი ვიყავი ქორეპისკოპოსად და, როცა ვსწირავდი ხოლმე, თბილისში თუ თელავის მაზრაში, რა თქმა უნდა, როცა მეცალა; არასოდეს ვგზარხოსებისთვის ნებართვა არ მითხოვნია და არც შენიშვნა მიმიღია ამისთვის, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში მოუწდა ვგზარხოსს ინოკენტის „თავის უფლებათა დაცვა უპატივცემულობისაგან“, (!?) ესე იგი მოთხოვნა—ჩემს დაუკითხავად ნურსადა სწირავო. წინეთ რომ ჩემთვის ვგზარხოსებს ეთქვათ, ჩვენდა დაუკითხავად ნუ სწირავო, მაშინაც, როცა დრო გაქვთო, თვისი მღვდელმთავრულ ღირსების სრული შეგნებით წინააღმდეგობდი.

როდესაც მე მისაყვედურებენ ფიცის გატეხასა და მოვალეობათა არ ასრულებას, მე უბნებინა, რატომ პირადად არ გითხოვნია ვგზარხოსისათვის წირვის ნება მოეცათ, ნუ დაივიწყებენ ვგზარხოსს ინოკენტისაც უსაყვედურონ ქრისტიანობის ძირითად მცნებათა—სიყვარულისა და სულგრძელობის დარღვევისათვის. ვგზარხოსს ინოკენტის ადვილად შეეძლო წარმოედგინა, თუ რა მიზეზი განწყობილება მიხუთავდა მაშინ სულს. მე ხომ მხოლოდ იმის წყალობით უნდა დამეტოვებია ჩემი საყვარელი სამშობლო! და მას იმდენი ქრისტიანული სიყვარული უნდა გამოეჩინა, რომ არ დაეშალა ჩემთვის წირვა, არ მოეთხოვნა, რომ პირათ მეთხოვა, იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო საკრებულო ტაძრის კანდელაკის მოხსენებით ჩემი სურვილის შესახებ. მით უმეტეს—ჩემი წირვა არავითარ საკითხებს არ მოახდენდა და არც არავითარ ვნებას მოუტანდა ვისმე.

ვგზარხოსში ინოკენტიმ მღვდელმსახურების ნება არ მომცა არა იმიტომ, ვითომ „ფიცი არ ამესრულებინოს“, არ მომცა ნება, მხოლოდ იმიტომ, რომ მის თავმოყვარობას შეეხენ; და მას ეს მცირე უსიამოვნობა ვერ დაუძლევიდა და მე კი, მწუხარებისაგან მკვდარს, დაქვენილს, სულის სიმშვიდის დამკარგველს, „ფიცის ასრულებასა“ მთხოვს და ჩემ მიერ „მოვალეობათა ასრულებას“ ადევნებს თვალყურს. ოხ, ნეტავი საქართველოს ეკლესიაში თავის პირდაპირ დანიშნულებას ისინი ასრულებდნენ, ვინც მოვალენი ირინ ასე იქცეოდნენ! მაშინ ხომ

პიატიგორსკში კი არა, თფილისში, ჩემ წინააღმდეგ ადგილზე, ვიქნებოდრი.

დამკვირე, საფუძვლიანი ადამიანები, რომლებიც ძვირათ აფასებენ ხალხის სიკეთეს და მშვიდობიანობას ორ მოვლენაში ისეთს არ ჩვენ, რომელიც ყველაზე ნაკლებ აადლებებს და გააბოროტებს ვისმე. ჩემთვის რომ თბილისში წირვის ნება მოეცათ, თუმცა, მე პირადად ვგზარხოსისათვის არ მითხოვნი, ყველაფერი თავის რიგზე იქნებოდა და ქართველ საზოგადოებას ასაღვლებლად მიზეზი არ ექნებოდა. ხოლო როდესაც მე, მართლმადიდებელ ეპისკოპოსს, იმ ადგილზე, სადაც 4—5 წელიწადს მიმსახურებია, წირვის ნება არ მომცეს, ჩემი თანამემამულენი სამართლიანი გულისწყრომით აენტენ და ვეღარავითარ ქვეის ნამოქმედარ ხრიკებით ვერ დაამშვიდებენ ქართველებს—რასაკვირველია, სულით და ხორცილ ქართველებს და არა გადაგვარებულ, თვითცნობიერობას მოკლებულთ, რომლებიც მართოდენ პირუტყველ, ფგოისტურ ცხოვრებას ეწევიან.

დაე „კავკაზმა“, რამდენიც შეუძლია იმდენი შეურაცხება მომაყენოს. საქმისათვის ეს უკეთესია. საზოგადოდ, რამდენს ისარსაც ქართველებს ესერიან, მით მათთვის უკეთესია. საკვირველია! ის ხალხი, განაპირა ქვეყნებისა და ცენტრის შედუღებას რომ სცდილობს, თვით აფართოებს „ინოროდცებისა“ და რუსთა დამაშორებელ კედელს. ყოველივე საქმე რომელიც აშენებული არ არი ხალხების სიყვარულზე, მათ ნაციონალურ განსაკუთრებულ თვისებათა და გონიერ ადამიანურ უფლებათა და მოთხოვნისაგან პატივისცემაზე, ვერ დამყარდება, ადრე თუ გვიან დაეცემა...

ლმერთა მოწამე, სრულიად არ მდომებია იმის გარეთ გამოტანა, პრესაში გამოქვეყნება, რაც ჩემსა და ვგზარხოსს ინოკენტის შორის მოხდა. მაგრამ ადვილად ვცნობ მას, ვისაც „კავკაზისათვის“ უფლება მიუცია დაეწერა, რომ მე და ვარლვიე ფიცი და ვისი განკარგულებითაც გადაუციათ რედაქციისათვის ჩემი ოფიციალური ქაღალდები.

მეტი შორს მხედველობაა საქირო!... თავის დღეში ხმამაღლი არ უნდა ილაპარაკოთ და იმოქმედოთ როცა წუთიერ შთაბეჭდილებათა გავლენის ქვე ხართ.....

შეურაცხყოფილი, გარნა მაინც კეთილის მსურველი

**ქართველი ეპისკოპოსი დავითი.**



## ბ ე დ ი ა.

ბედია მღებარეობს დღევანდელ სამურდა-  
ყანოში ოქუმის წყლის ერთ ერთ შესართავზე  
15 ვერსტის მანძილზე და ოქუმიდან. ოქუმი-  
დან ბედიისაკენ მიმავალი გზა ჩრდილოეთით  
ძვეს, მთლათ ოღრო-ჩოღროა და ტყიანი, მაგრამ  
მიუხედავად ამისა ბედია შორიდგანვე მოსჩანს;  
კობტა პატარაძლივით გორაკზე წამოსკუპული  
შავ ზღვას შეფურად გადაყურებს და დიდებულ სა-  
ნახაობას წარმოადგენს. ბედია ძველი დროი-  
დგანვე ცნობილია საქართველოს ისტორიაში.  
გადმოცემით ეს ადგილი სატახტო ქალაქი იყო  
მეგრელების ანუ ეგრისელების მითიურ მამათ-  
მთავარ ეგროსისა. ბედია იყო ადგილსამყოფე-  
ლი ერისთავებისა, რომლებსაც ჯერ ბედიანებს  
ეძახდნენ, შემდეგ ბედიან-დადიანებს. ამასთა-  
ნავე იგი იყო საეპისკოპოსო კათედრაც და  
აქ მჯდომ ეპისკოპოსის მართველობას ექვემდე-  
ბარებოდა მკვიდრნი, მდინარე ეგრესსა და დადისს  
შუა მცხოვრებნი. საქართველოს ერთიანობის  
დროს ბედიის ეპისკოპოსს საქართველოს 40  
ეპისკოპოსთა სიაში ეჭირა ოც და მეექვსე ად-  
გილი და მეფის დავვირგვინების დროს ცხო-  
მის ან სოხუმის ეპისკოპოსის შემდეგი ადგილი  
ეჭირა. დღევანდელი ბედიის ეკლესია აგებუ-  
ლია X საუკუნეში აფხაზ-ქართველთა მეფის  
ბაგრატ მესამის მიერ, რომელმაც გაამდიდრა  
იგი ბევრი სოფლების შეწირვით და რომ-  
ლის საფლავსაც იქვე უჩვენებენ. იგი მთლათ  
თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი, და ჩუ-  
ქურთმით შემკობილი. ეკლესია დიდი არ არის,  
მაგრამ დღესაც ტურფა რამ არის; მას ამშვენ-  
ებდა გულბანდი, რომელიც უკვე ჩაქცეუ-  
ლია. ეზოში დღესაც შენახულია ბედიელ ეპი-  
სკოპოსთა ქვითკირის საცხოვრებელი სახლე-  
ბი. ეკლესიის შიგნივ და გარეთ კედლებზე  
დარჩენილია **ქართული წარწერები**, რომლებ-  
შიდაც მოხსენებულია ბედიელი ეპისკოპოსები,  
დადიანი გიორგი და მეფე კონსტანტინე, რო-  
მელთაგან ორი უკანასკნელი მეთოთხმეტე სა-  
უკუნეში სცხოვრობდნენ. ცნობილია არ არი,

როდის მიუტოვებიათ ბედია; ცნობილია მხო-  
ლოდ რომ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნა-  
ხევარში, მეფე გიორგი მესამის დროს ქუთაის-  
ში მომხდარ საეკლესიო კრებას, იმერეთში ზნე-  
ობის აღდგენის შესახებ, სხვათა შორის ბედი-  
ელი ეპისკოპოსიც დაესწრო, თუმცა არ ვი-  
ციტ რომელი სახელდობრ, და რომ 1640 წ.  
რუსის დესპანის ელჩინის იქ მყოფობის დროს  
ბედიას განაგებდა ბედიელივე ეპისკოპოსი.  
„ბედიის საეპისკოპოსო ელჩინს უნახავს საეპისკოპოსო  
კვერთხი მსხვილი თავით, რომელიც დაფარუ-  
ლი იყო შავი ხავერდით, რომელზედაც დაქარ-  
გული იყო მეფე კონსტანტინეს და მისი დე-  
დის-ჯვრები, ხოლო ხავერდ ქვეშ ინახებოდა,  
ბედიელ ეპისკოპოსის სიტყვით, მაცხოვრის  
ეკლის გვირგვინი და ლურსმნები, რომლების  
ჩვენება მხოლოდ მეფის განკარგულებით შეი-  
ძლებოდა“. შემდეგ, 1810 წელს, ბედიაში განა-  
ხლებულ იქმნა ღვთის მსახურება, ხოლო რამ-  
დენ ხანს გაგრძელდა, ცნობილი არ არის; ეს  
გარემოება გვიმტკიცებს, რომ ამ დროს ბედია  
ისევ მთელი იყო. შესანიშნავია, რომ ბედიის  
ყუმი ოქროს ბარძიმი, რომელიც, როგორც  
მოწმობს წარწერა, შეუწირავს ბედიის ღვთის  
მშობლის ტაძრისათვის მის აღმამენებელ მეფე  
ბაგრატ მესამეს და დედა მისს გურანდუბტას,  
დღემდის შენახულია. დღეს იგი დაცულია  
ილორის წ. გ-ის ტაძარში აფხაზეთში. ბარძიმის  
ზემო ნაწილზე შემდეგი **ქართული ხუცური ასო  
მთავრული წარწერაა**: „წმიდაო ღვთისა დე-  
დაო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა აფხაზეთის  
მეფეს ბაგრატს და დედასა მისსა დედოფალს  
გურანდუბტას, რომელთა შესწირეს ბარძიმი  
ესე, შეამკვეს საკურთხეველი და აღაშენეს წმი-  
და ეკლესია ესე“. ბარძიმის ფეხზე კვითხუ-  
ლობთ (**ქართველადვე**): „ყოვლადწმიდაო ვლა-  
ქერნისა ღვთისმშობელო, შემწე მეყვან მე ბე-  
დიელ მიტროპოლიტს გერმანე ჩხეტიძეს, რო-  
მელიც ღირს ვიქმენ შემკობად ფერხისა წმი-  
დისა ამის ბარძიმისასა, იყავ მეოხი წინაშე ძი-  
სა შენისა დღესა განსჯისასა, ამინ“. აქ მოხსე-  
ნებული მეფე ბაგრატ მესამე არის ქართლ-  
აფხაზეთის მეფე ბაგრატ მესამე, აფხაზეთის მე-



ფის გიორგი მეორის ასულის გურანდუხტას შვილი, რომელიც (ბაგრატი) მეფობდა 980-დან 1008 წლამდე.

აქ მოყვანილ ცნობებიდან ცხადია, რომ ბედიაში (ალარ ვეხებით აფხაზეთს) ყოველთვის ქართველი ეპისკოპოსები იჯდნენ და ქართული ენა იყო გამეფებული და არა აფხაზური. დღესაც ბედიელები და მთელი სამურძაყანოელები თავის თავს ქართველ ერთა ნაწილათ აღიარებენ და ქართულ ენას დედა ენათ. ამათ ყოველთვის წირვა-ლოცვა და გალობა ქართულ ენაზე ჰქონიათ და აზრათაც არ მოსვლიათ სხვა ენაზე ღვთისმსახურების შესრულება, არც მეგრულზე მათ შორის, თუმცა დღეს სამურძაყანოში მეგრულია გამეფებული და წმინდა ქართულს იშვიათათ გაიგონებ. ექვ გარეშეა, რომ მთელ აფხაზეთშიაც წირვა-ლოცვა ყოველთვის ქართულ ენაზე სრულდებოდა და არც ერთ ღვთის მოშიშ ბედიელ ეპისკოპოსს აზრათ არ მოსვლია საღვთო წერილის აფხაზურათ თარგმნა. უეჭველია იმ დროს აფხაზებსაც და სამურძაყანოელებსაც მშვენიერად ესმოდათ ქართული ენა და ამ ენაზე აღიდებდნენ ღმერთს, ამ ენას, როგორც უფრო განვითარებულს, ხმარობდნენ საღვთისმეტყველო ღრმა ცნებების და დოღმატების გამოსახატავად. მას შემდეგ დღემდის არც აფხაზური და არც მეგრული ენა არ განვითარებულა ისე, რომ წირვა-ლოცვა დაუბრკოლებლად შესრულდეს და საღვთოწერილიც გადაითარგმნოს დაუმახინჯებლათ აზრისა. ნურავინ შეგვწამებს, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიყოთ ხალხის ენაზე საღვთო წერილის თარგმნისა. ჩვენ მხოლოდ იმას ვაზნობთ, რომ თუ ეს შეუძლებელია ენის განვითარებლობის გამო, მაშინ უნდა მივმართოთ იმ ენას, რომელზედაც მუდამ სრულდებოდა საღვთო მსახურება და რომლის საშუალებითაც შედიოდა ხალხში საღვთისმეტყველო განათლება. ასეთი იყო მოყვანილი ცნობების მიხედვით ქართული ენა აფხაზეთში და სამურძაყანოში, რომლებიც ყოველთვის შეადგენდნენ საქართველოს ნაწილს. აქაური მკვიდრნი ამ ენაზე იყვნენ შეჩვეული წირვა-ლოცვას და

ღვთის მსახურებას და ერთი სიტყვითაც არ უჩიოდნენ თავის ბედს და ეკლესიაზედაც დიდი ხალხით დაიარებოდნენ. განსვენებულ ეპ. გაბრიელის დროს, როცა აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვისთვის კრინტს არაგინ ძრავდა, აფხაზები ათასობით ინათლებოდნენ დღეს კი აქრელებულ რუსულ-ქართულ-აფხაზურ წირვა-ლოცვას ხალხი აღარ ეტანება ეკლესიებიც ცალიერია, და არა თუ ახალი ქრისტიანები ემატებიან ეკლესიას, ძველებიც სარწმუნოებაზე გადადიან და თათრის სჯულს ღებულობენ. გონიერი და ღვთის მოყვარე აფხაზი სწუხს ასეთ ბაბილონურ ენის შერევნაზე და სწყურია ძველი წირვა-ლოცვის აღდგენა, მაგრამ სად არის ხსნა.

შემდეგი იქნება.

ხელი.

### კვირიდან-კვირამდე.

პენსიონერმა მღვდელმა, მოძღვართ-მოძღვარმა სიმონ კურტანიძემ რედაქციას გადმოსცა 1500 მისგანვე მუქთად დასარიგებლათ გამოცემული წიგნაკი „რას საჭიროებენ გარდაცვალებულთა სულნი და რით შეიძლება მათი დახდახმარება“. რედაქცია დიდ მადლობას უძღვნის მ. სიმონ კურტანიძეს. ასეთივე მადლობელნი არიან მისი ისინიც, ვინც ეს წიგნაკები მიიღეს.

ქუთაისის საბლალოჩინო სამღვდლოებამ თავის მოძღვართ-მოძღვარად დეკანოზი ივ. აბესაძე აირჩია.

ი. ს. გოგებაშვილის გადაცვალების ამბავი სოფლათ გვიან გაუგიათ და წერილები მოგვდის, რომ მის მოსახსენებლად ბევრგან წარვა და პანაშვიდი გადაუხდიათ და სიტყვაც წარმოუსთქვამთ განსვენებულის ვინაობაზე და მის საზოგადო მოღვაწეობაზე. ხალხი მწუხარებით შეგებებია ამ ამბავს. ასეთი წერილები ხვათა შორის მივიღეთ ქიათურიდამ მღ. ბ. ვაშაძისგან, სუჯუნდიან მღვდ. ვ. ჯაველიძისგან,



ლენხუმიდან დეკ. ნ. ფრუიძისგან და ხობიდან მღ. ნ. სასანიასგან.

პატივცემული მამები თავის გრძობიერ სიტყვებსაც გვიგზავნიან, მაგრამ, რადგან ჩვენ გამოცემაში ბევრი განსვენებულის პირადობის ზღვარს აღწევს და მამხასიათებელი სიტყვები დაიბეჭდა, ამიტომ საჭიროდ აღარ მიგვაჩნია მათი დაბეჭვდა.

რედაქციას აუარებელი ლექსები მოსდის სხვა და სხვა პირებისაგან და კერძოდ მოწაფეებისგანაც. ვარდა იმისა, რომ ჩვენი გამოცემა ლექსებს იშვიათად ათავსებს, რედაქცია ურჩევს ახალგაზდა პოეტებს, ნუ აუჩქარდებიან თვის ნაწერების გამოქვეყნებას. ჯერ შინ იმუშაონ, ფარულად და შეუმჩნეველად და როცა ბუნებით ნიჭთან ღმერთი ცოდნითაც და გამოცდილებითაც დააჯილდოებთ, მაშინ გამოვიდენ სამწერლო ასპარეზზე.

ქ. გორში გამოდის ყოველ დღიური ქართული გაზეთი „ქართლი“.

გაზეთი, „უტრო როსსიი“ შემდეგ საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს:

16 ივნისს უმაღლესი ბრძანების ძალით სასახლის სამღვდელთაგან შემდგარი საეკლესიო კრების საგანგებო წინასწარი სათათბირო, რომელმაც უნდა მოახთინოს სამზადისი საეკლესიო კრების მოსაწვევად. 24 ივნისს სასახლის პროტოპრესვიტერის სადგომში ხსენებულ სათათბიროს პირველი სხდომა ჰქონია, რომელზედაც გამოურკვევიათ მომავალი მუშაობის საგანი და გეგმა, მაგრამ გადამწყვეტი დადგენილება არ გამოუტანიათ. წევრებს დაუდგენიათ, რომ მათი მუშაობის მსვლელობა საიდუმლო ნუ იქნება და პრესას რიგზე მივაწოდოთ ხოლმე ცნობებიო. სინოდის სფეროები ძლიერ უკმაყოფილო გამხდარა ახალ სათათბიროს დანიშნვის გამო, რადგან უკვე არსებობს ამ გვარი სათათბირო სინოდის წევრებისაგან შემდგარი, მაგრამ იგი სრულებით არ ჩქარობდა მანვე მინდობილ საკითხის გადაწყვეტას.

სარწმუნო წყაროებიდან ირწმუნებიან, რომ ახალი სათათბირო არ დაექვემდებარება სინოდს და სრულიად დამოუკიდებლად იმუშავებს. სექტემბერში მოიწვევენ მის წევრთა საზოგადო კრებას.

სასახლის სამღვდელთაგან სათათბიროში მონაწილეობას მიიღებს როგორც სატახტო ქალაქებისა, ისე პროვინციათა სასახლის ეკლესიებიც რომელთა რიცხვი 72 მღეა. უმაღლეს სფეროებში საეკლესიო კრების მოწვევას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. სასახლის სამღვდ. სათათბირო არ შეეხება პატრიარქობის შემოღების საკითხს.

ობერ პროკურორმა საბლერმა უკან დაიბრუნა მინისტრთა საბჭოდან განქორწინების პროექტი. დაბრუნებული პროექტის ძალით განქორწინების საქმე გადადიოდა იუსტიციის მინისტრის უფლებებში. პროექტი ხელახლა დამუშავდება.

გაზ. „Зак: P“. სიტყვით ახლო მომავალში ძალაში შევა ეპისკოპოსთა ჯამაგირებით დაკმაყოფილების ახალი წესები. მათ აღარ მიეცემათ ჯამაგირი ხაზინიდან. ნორმალური ჯამაგირი ეპისკოპოსისთვის განზრახულია 6000 მან. ქორ-ეპისკოპოსისთვის 3000 მან. ეს ჯამაგირები მიეცემათ სამონასტრო და საეპარქიო საშვალელებათაგან.

რადგან ახალი შტატები არ იწვევენ ახალ ხარჯებს, ამიტომ ეს საკითხი სახ. სათათბიროს ასცდება და მხოლოდ სინოდში გაიჩნევა.

ვოლინის არქივისკოპოსი ანტონი მოხსენებას წარადგენს სინოდში, რომელშიდაც თხოულობს, რომ განქორწინების მიზეზით სხვათა შორის აღიარებულ იქნას სარწმუნოებრივი განსხვავება ცოლქმართა, ე. ი. თუ მართლმადიდებელი ცოლი ისურვებს განშორდეს არა მართლმადიდებელს ქმარს უკანასკნელის არა მართლმადიდებლობისათვის და წინაუკმო.



# ეპისკოპოს კირონთან.

კოლხიდის № 86

ქართველი კაცი რომ ქალ. ხერსონესში მოხვდება აუცილებლათ გაემართება რუსის მონასტრისაკენ, რომლის გვერდით ბაღით გარშემორტყმული პატარა სახლი დგას; ეს სახლი ძალაუნებურათ იპყრობს იმის ყურადღებას.

ამ პატარა სახლში ეპ. კირონი ცხოვრობს.

ყველაფერს მოწყვეტილი, რაც კი მისთვის ძვირფასია, განმარტოებით ცხოვრობს აქ იგი იმ ხალხში, რომელსაც მისი არა ესმის რა.

ადვილათ ასახსნელია ის გრძნობა და ღრმა პატივისცემა, რომლითაც მე რამდენიმე რუსის სტუდენტთან ერთად ვეხი გადავდგი ამ სახლის საფეხურს.

ახალგაზდა მწირი წინ გავვიძღვა და ღვდელთაყარს აცნობა ჩვენი მისვლა. ეპ. კირონი მალე გამოვიდა. ორ წამს შემდეგ ჩვენ წინ თავაზიანათ, მაგრამ ნაღველნარევი ღიმილით ეპ. კირონი იდგა. ყოვლადსაღვდელღოს მოქანცულობა ეტყობა. ისე კი არც სულ ჯანმიხდილია. მისალმების შემდეგ მოვიკითხეთ და ასე გვიპასუხა: „არც სულ კარგათ, მაგრამ არც ისე ცუდათ, როგორც ჩემს მტრებს ენატრებათ.“ შემდეგ ჩვენც გამოგვიკითხა საიდან მოვდივართ, ხო არ დავიღალეთ. გაიგო, რომ მონასტერი არ დაგვითვალისწინებია, სიამოვნებით წაგვიძღვა წინ და გზა-გზა მოგვითხრობდა ამ ოდესმე სახელოვანი ქალაქისა, მონასტრისა და სხვ. ამბებს. პირველათ დავათვალიერეთ ახალი ეკლესია, რომელშიც რუსის უძველესი ტაძრის კედლებია. ნესტორის თქმით ეს უნდა იყოს ის ეკლესია, საცა მეფე ვლადიმერი წითელი მზე მოინათლაო. — მაგრამ ეს ამბავი მართალი არ არისო. თუ მართლა დიდი თავადი აქ მოინათლა, იგი უთუოდ კათედრალურ საკრებულო ტაძარში მოინათლებოდა. ეს ტაძარი კი ქართველებს ეკუთვნოდაო, ჩვე

ნი ყურადღება მიიპყრო ამ ცნობამ, საქართველოდან ამ სიშორეს და უძველეს დროს აქ ქართული ეკლესია.

— ამის თაობაზე ბევრი ცნობები შეგვკრიბებ და მალე გამოვაქვეყნებო — სთქვა ეპ. კირონმა. დაავივრდით ამ ნაშთებს და თავათ დაინახავთ, რამდენი განსხვავებაა ამ ეკლესიასა და აქაურ სხვა ეკლესიებ შორის. შიგნიდან კედლები მარმალილოსი იყო, იატაკიც მოზაიკური მარმალილოსი და ეს ყველაფერი როცა დაანგრის მუხეუმში წაუღიათ... წარწერა არაფერი დარჩენილა. ტაძრის შუაგულ იყო ერთი მარმალილოს ფირფიტა, ზედ ბერძნული წარწერა: — აქ მარხია ეპისკოპოსი იოანე ქართველი. დროც იყო აღნიშნული — მერვე საუკუნე. ტაძარი უნდა ეკუთვნოდეს მეექვსე საუკუნეს, რადგან ბევრი საბუთია იმისი, რომ ამ დროს ხერსონესის მახლობლათ ქართველების კალწია იყო... აი, საკურთხეველში არქიელისა და კრებულისათვის დასაჯდომები მცხეთის ტაძრის მსგავსათ არის მოწყობილი. სწორეთ ამგვარი დასაჯდომები იყო ქართულ საკათედრო ტაძრებში ნანგრევებით რომ ვიანგარიშოთ ეს ტაძარი სიონისაზე მორჩილი უნდა ყოფილიყო, ფორმა ჯერისა აქეს როგორც საზოგადოთ საქართველოს ტაძრებს. მიაქციეთ აგრეთვე თქვენი ყურადღება ამ ქვასაც. იგი ერთიანია და შუა ამოჭრილია, როგორც აუზი. ვერც კონდაკოვმა და ვერც სხვა მსწავლულებმა ვერ ახსნეს, თუ რისთვის იყო საჭირო ეს აუზი. ჩვენში კი, საქართველოში, ახლაც ჩვეულებათა ეკლესიაში ლოცვა ვედრება, რომ ქალს შევილოსნობა მიეცეს, და როცა ასეთს ქალს შევილი შეეძინება, ბავში უსათუოთ ამ ეკლესიაში უნდა მოინათლოს. წყალი კი უთუოთ ამ აუზში უნდა ჩაასხან. ქანეთში წმ. გიორგის ეკლესიაში არის ასეთი აუზები... ბიზანტიას შემდეგ ქართულ ეკლესიას მეორე ადგილი ეჭირა. ხერსონესში რომ იოანე გოტელი აირჩიეს ეპისკოპოსათ, იგი კურთხევის მისაღებათ ბიზანტიას გაგზავნეს და რაკი იქ კურთხევა აღარ მოხერხდა მცხეთას გაგზავნეს და იქ აკურთხეს...



ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ ამ ტაძრის თაობაზე და შემდეგ იმის წიგნს შევხებთ:— „ივერიის კულტურის როლი რუსეთში ქრისტიანობის ისტორიის განვითარებაზე“.

— ცხადია, პირველ გამოცემაში ბევრი ნაკლია. ამის მიზეზი გარემოებაა... დღე ყოველ სიკვდილის მოლოდინში ვიყავი და ამიტომ დავესწრაფე ამ შრომის გამოცემას, რომელსაც ჯანი და მრავალი წელი შევწირე. ახლა მეორე გამოცემა დავამზადე და მალე ბეჭდვას შევუდგები. ბევრი შევასწორე, ჩაეუმატე, ასე რომ მეორე გამოცემა ბევრად ვრცელი და საბუთებიანი იქნება... აქ შედარებით უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს და მუშაობითაც მშვიდობიანად და უკეთ ვმუშაობ... აქ არაფინაა რომ მეცნიერება აინტერესებდეს, მაგრამ თან ბიბლიოთეკა მაქვს საკუთარი და აქაურებიც ბევრი ძვირფასი მასალებია....

შევატყვევთ, რომ ყოველადსაღვდელშობილად, აღარ გვენდოდა ბოროტათ მოგვეხმარა მისი თავაზიანობა და მივაციკლეთ სენაკამდი. აქ დაველოცა ყველა— იყავით ნამდვილი ადამიანებიო, მტკიცეთ დაიცევით პრინციპი ძმობისა და სამართლიანობისიო. როცა ვაცნობეთ, რომ მივდივართ მის საყვარელ საქართველოში, სახეს კმუნვის ღურბელი მოეფინა, ყრუთ მობრუნდა და ბინისკენ გაემართა. და ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, როგორ სურდა მას შეეძახა: თქვენ, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, რომელნიც საყვარელ საქართველოსკენ მიემგზავრებით, ნუ დაივიწყებთ თავიანისცეთ მშობელ ქვეყანას და გადასცეთ, რომ მისი ერთგული შეილი, მხურვალე საღამს უძღვნის მას....“

## უცხოეთის მიმდევრობა.

(გაგრძელება\*)

ახლა ევროპის ბევრი მოაზრე უდიდობს ახსნას ეს დიდი ამბები, რომლებიც ამოძრავებენ მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების მცხოვრებლებს. მათ შორის, ჩემი აზრით, ყველაზე

\*) იხ. ნიშ. საქ. № 21.

უფრო ღრმად და სინამდვილითაც არკვევს ამ ჩვენი დროის ერთი ნიჭიერი მოაზრე დოკტორი **ოტტო ბაუერი** („აღმოსავლეთის რევოლუციები“), რომლის აზრი მინდა გავაცნო ჩემს მკითხველს მოკლეთ მაინც.

ამ დროის დიდ-დიდი კაპიტალისტური იმპერიები თან-და-თან იპყრობენ მთელი დედამიწის ზურგს და იმის არე-მარეზე აწარმოებენ სხვილ მრეწველობას და აღებ-მიცემობას. ამ აზრით იმათ უკვე დაიპყრეს ამერიკაც, აფრიკაც, ავსტრალიაც და აგერ თითქმის აზიაც კი. რასაკვირველია, ეს დაპყრობილი ხალხები ევროპელთა სამხედრო ძალებით ძალიან დაშინებული არიან ზღაპრების ხმა გაკმენდილი უსცქეროდენ თავიანთ ბედსა და უბედობას. მაგალითად, შვიდი ათასი ინგლისელი მოხელე და 75 ათასი ინგლისელი სალდათი ინდოეთში სამას მილიონ მცხოვრებს უღარაჯებს და უქვემდებარებს დიდ ბრიტანიას. ინგლისის ბატონობა ინდოეთზე ამ ჯარებზე როდია დამოკიდებული. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ინგლისს ასჯერ მეტი რიცხვი ჯარებისა უნდა ყოფილიყო იქ, ვიდრე ახლა ყავს, რადგან იმ ტერიტორიაზე, რომელიც ორჯერ მეტია ევროპის მიწა-წყალზე, ცხოვრობს მთელი მეხუთედი კაცობრიობისა. მაგრამ ბრიტანიას იარაღით არ დაუპყრია ინდოეთი და იარაღითაც არ უნდა მას ბატონობა იქ. ინდოეთი სრულიად შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ბრიტანიას და მართვა-გამგეობას ეწევა იგი იქ მხოლოდ და მარტო გიპნოზის მეოხებით.

ასეა მაჰადიანთა და მონღოლების ქვეყნებშიაც. ევროპის დიდ-დიდი სახელმწიფოების ბატონობა გამოწვეულია ამ გაუნათლებელ ხალხების გიპნოზით, რადგან იმათ გულში აქვთ ღრმად ჩანერგილი დიდი შიში სასწაულმოქმედ და ძლევა-მოსილ ევროპიელთა საომარ იარაღებისა.

ამიტომაც, მთელი აზიის და აფრიკის კაცობრიობის გრძნობა-გონება სულ ერთიანა შეარყია რუსეთ-იაპონიის ომმა, როცა ყვითელმა პატარა კაცმა წყნარ ოკეანესა და მანჯურიის მინდვრებზე საშინლად დაამარცხა ევროპიელი



თეთრი ადამიანი. ამიერიდან მთელი ქვეყნიერების ისტორია შებრუნდა და ჯერ არ გაგონილი უღიადესი ჩაბეჭდილება გამოიწვია აღმოსავლეთში, ჩინეთიდან ეგვიპტემდე. და ტრიპოლისში რომ არაბების თავისუფალი ატრიალი ამარცხებს პირველ ხარისხოვან სახელმწიფოს — იტალიის გაწრთვნილ სალდათებს, მთელი დამონებული კაცობრიობა უღიადესი ენტუზიაზმით აღფრთოვანებული ტაშს უკრავს ამ სანახაობას.

აი, ეს რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც სპობს ამ გიპნოზის დიდს ძალას და გავლენას, დღეს წარმოადგენს დიდ სერიოზულ საშიშროებას ევროპის კაპიტალისტურ იმპერიებისთვის...

როგორც დასაწყისი, ისე საბოლოო მიზნები აღმოსავლეთის რევოლიუციებისა სულ სხვაა, ვიდრე ევროპის პროლეტარიატის თანამედროვე მოძრაობისა. აღმოსავლეთ ქვეყნებში, გარდა ინდოეთის ერთი ნაწილისა და რამდენიმე ქალაქისა ოსმალეთში და ჩინეთში, სრულებით არ არის სამრეწველო პროლეტარიატი და, ამიტომაც, ამ რევოლიუციებს წმინდა კლასობრივი მოძრაობის ხასიათი პროლეტარიატისა არ აქვს.

აღმოსავლეთის რევოლიუციები ორი ერთი მეორის წინააღმდეგი ხასიათის მიმდინარეობიდან გაჩნდა: ერთი მიმართულება ლიბერალური ინტელიგენციისა არის, რომელიც პირდაპირ ევროპის იდეების გავლენის და ზედ-მოქმედების ქვეშ იმყოფება და მეორე — წმინდა რეაქციონური მოძრაობაა ხალხებისა, რომელიც მტრულად უცქერიან ყოველისფერს ევროპულს და უცხოს.

სასახლეების გარშემო მოფუსფუსე მოხელე არისტოკრატია, დიდი მემამულენი და ვაჭარნი აღმოსავლეთის ქვეყნებისა თავიანთ შეილებს გასანათლებლად აგზავნიან ევროპის, ამერიკის და იაპონიის უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთანავე თვით აღმოსავლეთ ქვეყნებშიაც გაჩნდა ევროპულიდ გამართული უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ასწავლიან ევროპიდან გასული მოძღვარნი, ამ გარემოებამ აღმოსავ-

ლეთში შექნა მთელი წყება წმინდა ევროპულად განათლებულებისა, რომელიც ჩინებულად ლაპარაკობენ ევროპულ ენებზე და ძელოსა და რბილში აქვთ გამჯდარი ევროპიული განათლება.

აზიის ქვეყნების გალიბერალეზულმა ინტელიგენციამ კარგად შეითვისა ევროპის ხმელეთის მცხოვრებთა აზროვნობა და გულით შეუყვარდა იქაური სოციალური, პოლიტიკური და ფილოსოფიური მისწრაფებანი. ეს ლიბერალი ინტელიგენცია უარსყოფდა თვისი ძველი ქვეყნის ადათებს და ჩვეულებათა, ზნე-ხსიათსა, ჩაცმა-დახურვას და ქამა-სმის წესსაც კი. ერთი სიტყვით, ნამდვილი ლიბერალი აზიის შვილი წმინდა, გულწრფელი ევროპელი შეიქნა. ახალგაზდა ოსმალთა, მაგალითად, რომელსაც ფრანგული განათლება მიუღია ამ ტიპის ერთი საუკეთესო ბრწყინვალე წარმომადგენელია. მაგრამ ამგვარის სულის თვისებით არის შემკული ეგვიპტელი ეფენდიც, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი დაუსრულებია პარიზში, ან ლონდონში, ახალგაზდა სპარსელიც, რომელსაც ფრანგული სიტყვები, რომ უნდა, ისე ვერ გამოუთქვამს, ინდოეთელ ბაბუსაც, რომელსაც უარ უყვია ვედას ლეთაებრივი ბუნება, ციტატები მოაქვს სკეპტიკური ფილოსოფიის მამათ-მთავრის, სახელოვანი ინგლისელი დავით იუმიდან და ხმამაღლა გაიძახის, რომ მე საფრანგეთის დიდი რევოლიუციის კანონიერი შვილი ვარო.

აი, ამგვარად მომზადებული ინტელიგენციის ჯგუფები ამხედრდენ თავიანთი საკუთარი დიდათ საყვარელი მამულის მოძველებულ, წრეს გადასულ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ პირობების წინააღმდეგ, მხედ გაუშკლავდენ დესპოტიას, ზნედაცემულობას, გათახსირებას და ასტყდა ბრძოლა...

აზიის ლიბერალებს სულით და გულით უნდათ თავიანთი მშობელი ქვეყნების გავეროპიელება, მაგრამ ამავე დროს ისინი ევროპის წინააღმდეგიც არიან.

განათლებულ ადამიანს ვერ აუტანია მწარე და ცინვა და დამცირება, რომელსაც განი-



ცდის ევროპელებისგან, რადგან განათლებული, ზნეობით ამაღლებული ადამიანის ღირსება ვერ ურიგდება თვისი უსაყვარლესი მამულის უცხო ქვეყნელთა მიერ დამონებას და გაუტანელს ექსპლუატაციას. ამ გვარად აზიის ლიბერალიზმი წმინდა ნაციონალისტურია. აზიის განათლებულ ლიბერალობას სულით და გულით უნდა თვისი მშობელი ხალხი ევროპის კულტურულ სამოსელში გახვიოს, ევროპის წესწყობილება მიანიჭოს მას — პარლამენტი, განათლება, არმია, ფინანსები, ბიუროკრატია, ინდუსტრია — იმიტომ, რომ ეს ხალხი გახდეს სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ამ ქვეყნად...

რა დიდი და სანაქებო სურვილებია, მკითხველო!...  
ევროპულად განათლებული ინტელიგენტები, რომელნიც თავიანთ მამულში ეროვნულ ლიბერალიზმის წარმომადგენელნი არიან, თუმცა ჯერ მაინცა-და-მაინც ძალიან ბევრი არ არის რიცხვით, მაგრამ იმათი გავლენა საზოგადოებასა და ხალხზე ერთობ დიდია. მემამულე არისტოკრატია, რომელიც სულერთიანა გაკოტრების კარამდე მიიყვანა უცხოელების სავაჭრო ფირმების და სოფდაგრების კაპიტალის კონკურენციამ, ამ ინტელიგენტის მიემხრო. ნაციონალ-ლიბერალური ინტელიგენცია სისხლით და ხორკით პირდაპირ ენათესავება აღმოსავლეთის უმდიდრეს და გავლენიან კლასებს და წრეებს, როგორც ზევითაც მოგახსენეთ.

ჩვენ მეზობელ ოსმალეთში ახალი მოძრაობის გულწრფელი წარმომადგენელნი სულ აფიკრობა, ადვოკატები, პროფესორები, სახელმწიფო მოხელენი, მკურნალნი, მემამულენი, ჟურნალისტები და სხვა თავისუფალი პროფესიების განათლებულები არიან. ინდოეთშიაც დიდ-დიდ მემამულეთა, ადვოკატთა, მკურნალთა და სახელმწიფო მოხელეთა წრე გაქდენთილია ევროპიული იდეებით. ძალა და გავლენა ამ კლასებისა ერთობ დიდია იქ, რადგან იმათ ხელშია სახელმწიფო მართველობის აპარატი. მთელი არმია ინდოეთელ მოხელეებისა ინგლისის სახელით მართავს და განაგებს ინდოეთს. თვისი მოხელეებისგან ინგლისი თხოულობს განათლებას და ინგლისური ენის ცოდნას. ევროპული განათლება ამ სახელმწიფო ბიუროკრატის ძალიან უწყობს ხელს, რომ ნაციონალ-ლიბერალთა იდეები შეითვისოს. დიდათ შეშფოთებული შესცქერის უძლიერესი სახელმწიფო მთელს დედა-მიწის ზურგზე დიდი ბრიტანია იმას, რომ საკუთრად მისგან გაქე-

დილი და აღესილი მახვილი მის წინააღმდეგ ტრიალობს დღეს...

გულკეთილი.

შემდეგი იქნება

**მადლობის გამოცხადება.**

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზუთის „ზინაური საქმეები“-ს საშვალეებით უღრმესი მადლობა გამოეცხადოს ალვის მღ. მაქსიმე თავაძეს, როგორც ჩემგან აგრეთვე მთელი მისი სამრევლოსაგან, რადგან მან კეთილ ინება და მისი საკუთარი საშვალეებიდან დახარჯა 700 მანეთი ნაღდათ ზედადა ქვედა ალვის ეკლესიების სამრევლო შკოლების აღმშენებისათვის.

**ქვედა ალვის სამრევლო შკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ყურაშვილი.**

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზუთის „ზინაური საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოეცხადო მე და ჩემი მრევლის მხრით რწმუნებულ ჩემდამო სამრევლოშივე მცხოვრებთ: მართა და ნატალია ვაშაძეებისას. სალომე, პელანგია და მართა აბრამიშვილისას, პანტელეიმონ იასონის ძე ტყემლაძეს და ერასტი ამბაკოსძე პაპიძეს, რომლებმაც რწმუნებულ ჩემდამო ბაჯითის სამეზობლო ეკლესიას შემოსწირეს. 1) მართა და ნატალია ვაშაძეებისამ და სალომე აბრამიშვილისამ ტრაპეზის და სამკვეთლოს შესამოსელნი, ღირებული ოც მანეთად; 2) პელანგია აბრამიშვილისამ თორმეტი საუფლო დღესასწაულის ხატი, ღირებული ათ მანეთად; 3) მართა აბრამიშვილისამ პურის საკურთხი ჭურჭელი, ღირებული შვიდ მანეთად; 4) პანტელეიმონ ტყემლაძემ აღსავლის კარების კრეტსაბმელი, ღირებული ოთხ მანეთად და 5) ერასტი პაპიძემ ორი შანდალი, ღირებული სამ მანეთად.

ვისურვებ მათ წამბაძველები გამოჩენდნენ და არ დაეშუროსთ თავინთი წვლილი ჩვენი ახალი ეკლესიის გამშენებისათვის.

სოფლის ბაჯითის სამეზობლო ეკლესიის მღვდელი ბიქტორ ტყემლაძე.

**რედაქტორი მღვდელი სიმონ მავდლიძე. გამომცემელი იოსებ ლეჟავა.**